ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №998468

ნომერი: AR1176778

თარიღი : 11.11.2013

გაცემის თარიღი : 15.11.2013

გაცნობის თარიღი : 15.11.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გაგა ბითაძე პ/ნ 57001007815
- გლდანი III მ/რ 79ა. კორპ. ბინა 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, შემდეგს: ვინაიდან სამსახურის მიერ №231563 ბრძანებით თქვენს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე მხოლოდ დროებითი სარგებლობის დამხმარე ლითონის კონსტრუქციით შედგენილი I კლასის ნაგებობის განთავსება ( ყველა შემთხვევაში გამორიცხულია სხვა სახის მშენებლობის განხორციელება №231563 ბრძანებით შეთანხმებული გრგს პროექტში ცვლილების გარეშე ) ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო ობიექტი არ წარმოადგენს (მისი გაბარიტული ზომებით) I კლასის ობიექტს აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

შესაძლებელია მხოლოდ პირველი კლასის მქონე ობიექტის განთავსება ისიც დროებით სარგებლობის სტატუსით რისთვისაც შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
1.წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი პირველი კლასის მონაცემებით, ასევე მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოსადგენია ესკიზური პროექტი (გენ–გეგმა საკადასტრო გეგმასთან მიბმის მანძილების დატანით და გეგმები და ჭრილები კონსტრუქციული კარკასის ზომების დატანით);

2. ვინაიდან წარმოდგენილი ხელშეკრულების ვადაა 4 წელია და მხარეები კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან, საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 11–ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში როდესაც ქვეიჯარის ხელშკრულების ერთ–ერთი მხარე არის კერძო სამართლის იურიდიული პირი და ხელშეკრულება დადებულია 1 წელზე მეტი ვადით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან დღეის მონაცემებით ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში საჭიროა წარმოსდგინოთ განახლებული ამონაწერი;

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.